პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის ---------მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26–ე მუხლის მეორე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2025 წელს ჩაატარა 14 სხდომა, სადაც განხილული იქნა 64 საკითხი. კერძოდ,

31 იანვარი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკის ა(ა)იპ „წყალტუბო არენა"-სთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

13 თებერვალი:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

28 თებერვალი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

4. სს „ლიბერთი ბანკი"-სათვის (ს/კ 203828304) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით 2 (ორი) წლის ვადით ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში (ს/კ 29.08.34.014.01.540) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 2.0 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №გ-49.492503116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის N გ-49.492503115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

28 მარტი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. ქალაქ წყალტუბოში „ცივი ტბის" ტერიტორიაზე კაფე რესტორნის, აუზისა და სპა გამაჯანსაღებელი ცენტრის ესკიზური პროექტების მოწონების შესახებ.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის გ-49. 4925059001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №გ-49.492503116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის N გ-49.492503115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც ავტოსადგურის არარსებობის გამო სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

25 აპრილი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობისა და იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

30 მაისი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარის (შტაბელერის - Electrical Stacker) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის", სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, საბავშვო ბაღის განსათავსებლად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N29.08.35.196 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების 6264 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (N1-საერთო ფართით 1358 კვ.მ, N2 - საერთო ფართი - 20 კვ.მ) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული როტაციური საცერის (Screen) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის" დამტკიცების შესახებ.

27 ივნისი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის" ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანის (Truck) ტექნიკური მახასიათებლები: მარკა-FOTON, ტიპი-თვითმცლელი/TIPPER, მოდელი-BJI226VMPHD-F2, საიდენტიფიკაციო კოდი LVBV6PDBXSW062887, გამოშვების წელი-2025, სახელმწიფო ნომერი - BC 105 CC საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის" ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული ტრაქტორის (დამტვირთველით) და ამავე ტრაქტორთან თავსებადი 1 (ერთი) ერთეული საკომპოსტე მასალის შემრევის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე დავით არსენიძის კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.34. 293 ფართით-2335.0კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე გაგა მანაგაძის კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.34. 305 ფართით-1500.0კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.34. 461 ფართით-3504.0კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.
7. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული დამქუცმაცებელი დანადგარის - SHREDDER (მანქანა) საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
8. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

25 ივლისი:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ - სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალის “ესტონია“ (სერიული N5571, საინვენტარიზაციო NOO1474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი), უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის ფოტოაპარატის Canon EF-S 18-135 mm საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

27 აგვისტო:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 537 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი #29. 11. 35. 011) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

26 სექტემბერი:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. სს „სილქნეტი“–სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქონების გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის (საკ. კოდი # 29.08.34.014) პირველ სართულზე განთავსებული 8.0 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2025 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

24 ოქტომბერი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №გ-49.492503116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის N გ-49.492503115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული: ნაკვეთი N1- საკ.კოდი N29.08.34.188. ფართობი 9097 კვ.მ; ნაკვეთი 2-საკ.კოდი N29.08.34.189. ფართობი 64 კვ.მ; ნაკვეთი 3-საკ.კოდი N29.08.34.190. ფართობი 73 კვ.მ; ნაკვეთი 4- საკ.კოდი N29.08.34.191. ფართობი 88 კვ.მ; ნაკვეთი 5-საკ.კოდი N29.08.34.192. ფართობი 105 კვ.მ; ნაკვეთი 6-საკ.კოდი N29.08.34.193. ფართობი 111 კვ.მ; ნაკვეთი 7-საკ.კოდი N29.08.34.194. ფართობი 139 კვ.მ; ნაკვეთი 8 -საკ.კოდი N29.08.34.195. ფართობი 140 კვ.მ; ნაკვეთი 9-საკ.კოდი N29.08.34.196. ფართობი 941 კვ.მ; ნაკვეთი N10- საკ.კოდი N29.08.34.197. ფართობი 6293 კვ.მ; ნაკვეთ 11-საკ.კოდი N29.08.34.198. ფართობი 4946 კვ.მ; ნაკვეთი 12- საკ.კოდი N29.08.34.199, ასევე ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე განთავსებული უძრავი ქონება-შენობა №17 34,18კვმ ს/კ:29.08.34.187. 17.001 საკადასტრო კოდებზე მდებარე უძრავი ქონებების, როგორც ძირითადი ქონების გასხვისებაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული: ნაკვეთი N1- საკ.კოდი N29.08.34.188. ფართობი 9097 კვ.მ; ნაკვეთი 2-საკ.კოდი N29.08.34.189. ფართობი 64 კვ.მ; ნაკვეთი 3-საკ.კოდი N29.08.34.190. ფართობი 73 კვ.მ; ნაკვეთი 4- საკ.კოდი N29.08.34.191. ფართობი 88 კვ.მ; ნაკვეთი 5-საკ.კოდი N29.08.34.192. ფართობი 105 კვ.მ; ნაკვეთი 6-საკ.კოდი N29.08.34.193. ფართობი 111 კვ.მ; ნაკვეთი 7-საკ.კოდი N29.08.34.194. ფართობი 139 კვ.მ; ნაკვეთი 8 -საკ.კოდი N29.08.34.195. ფართობი 140 კვ.მ; ნაკვეთი 9-საკ.კოდი N29.08.34.196. ფართობი 941 კვ.მ; ნაკვეთი N10- საკ.კოდი N29.08.34.197. ფართობი 6293 კვ.მ; ნაკვეთ 11-საკ.კოდი N29.08.34.198. ფართობი 4946 კვ.მ; ნაკვეთი 12- საკ.კოდი N29.08.34.199, ასევე ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე განთავსებული უძრავი ქონება-შენობა №17 34,18კვმ ს/კ:29.08.34.187. 17.001 საკადასტრო კოდებზე მდებარე უძრავი ქონებების, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის გ-49. 4925059001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

19 ნოემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

27 ნოემბერი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

3. 71 (სამოცდათერთმეტი) ერთეული პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის, რომელთა ღირებულება შეადგენს 44588 (ორმოცდაოთხიათასხუთასოთხმოცდარვა) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჰესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკ.კოდი N29.14.33.145 სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.

26 დეკემბერი:

1. ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი #29.08.34.187) განთავსებული კაფე-ბარის 08 (1) პირობით 10 წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
რევაზ დიდავა